

ენერგეტიკული ბალანსი

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
1	საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1	საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2	საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი მრეწველობის, მშენებლობისა და ენერგეტიკის სტატისტიკის სამმართველო
1.3	საკონტაქტო პირი	დავით კუპატაძე მარინე გოგოლაძე
1.4	საკონტაქტო პირის ფუნქცია	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი მრეწველობის, მშენებლობისა და ენერგეტიკის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5	საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	dkupatadze@geostat.ge mgogoladze@geostat.ge
1.7	საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (200) +995 32 236 72 10 (208)
1.8	საკონტაქტო პირის ფაქსი	-
2	მეტამონაცემების განახლება	
2.1	მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2020 წ. 22 მაისი
2.2	მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2020 წ. 22 მაისი
2.3	მეტამონაცემების ბოლო განახლება	2020 წ. 22 მაისი
3	სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1	მონაცემების აღწერა	ენერგურესურსების წარმოების, მიწოდების, განაწილების და მოხმარების შესახებ წლიური სტატისტიკური გამოკვლევის ფარგლებში ქვეყნდება 13 ძირითადი მაჩვენებელი: <ol style="list-style-type: none"> 1. წარმოება; 2. იმპორტი; 3. ექსპორტი; 4. მარაგების ცვლილება; 5. შიდა მიწოდება; 6. ხელმისაწვდომი; 7. გარდაქმნები; 8. სტატისტიკური განსხვავება; 9. ტრანსფორმაციის სექტორი – შემავალი;

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>10. ტრანსფორმაციის სექტორი – წარმოება;</p> <p>11. ენერგეტიკის სექტორის საკუთარი მოხმარება;</p> <p>12. დანაკარგები;</p> <p>13. საბოლოო მოხმარება.</p> <p>ენერჯის სახეების მიხედვით გამოშვებული ცხრილები მოცემულია ფიზიკურ და ენერჯის საერთაშორისო ერთეულებში:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აგრეგირებული ენერგეტიკული ბალანსი; 2. ელექტროენერჯის და თბოენერჯის მიწოდება და მოხმარება; 3. ბუნებრივი აირის მიწოდება და მოხმარება; 4. ქვანახშირის მიწოდება და მოხმარება; 5. ნავთობის და ნავთობპროდუქტების მიწოდება და მოხმარება; 6. ბიოსაწვავი და ნარჩენებისაგან წარმებული ენერჯის მიწოდება და მოხმარება. <p>საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი დაინერგა 2013 წლიდან. 2013-2015 წლების ენერგეტიკული ბალანსები შემუშავებულია ევროკავშირის პროგრამა ინოგეიტის (INOGATE) მეთოდოლოგიის საფუძველზე და სრულად შეესაბამება ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) სტანდარტებს. 2016 წლიდან გათვალისწინებულია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2008 წლის 22 ოქტომბრის № 1099/2008 მოთხოვნები ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ.</p> <p>ენერგეტიკული ბალანსის ფორმირებისათვის გამოკვლევა ორი მიმართულებით ხორციელდება: ენერგეტიკის სექტორის და საბოლოო მოხმარების სექტორის გამოკვლევა. ენერგეტიკის სექტორში სრული მოცვით გამოიკითხება ენერგორესურსების მწარმოებლები, მიწოდებლები, გამანაწილებლები და ენერგორესურსებით ვაჭრობით დაკავებული კომპანიები. საბოლოო მოხმარების სექტორი მოიცავს ყველა ინსტიტუციური სექტორის – არაფინანსური კორპორაციების, ფინანსური კორპორაციების, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების, შინამეურნეობების და სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციების გამოკვლევას.</p> <p>ყოველწლიურად გამოიკითხება არაფინანსური კორპორაციები (სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის და ტრანსპორტის დარგის საწარმოები) და შინამეურნეობები. ხოლო ყველა სხვა დარგის (მომსახურების სექტორი) მონაცემთა ფორმირება ხორციელდება შეფასებითი მიდგომით. არაფინანსური სექტორის მომსახურების დარგები, ფინანსური კორპორაციები, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები, სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციები გამოიკითხება 5 წელიწადში ერთხელ.</p> <p>შინამეურნეობების სექტორიდან ინფორმაციის შეგროვება ხორციელდება რეგულარული ყოველკვარტალური გამოკვლევიდან სპეციალური დანართის საფუძველზე, პირდაპირი ინტერვიუების მეთოდით, ხოლო დანარჩენი ეკონომიკური სექტორებიდან მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხორციელდება ონლაინ კითხვარით. თუმცა რესპონდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სხვა საშუალებებითაც (კითხვარის ბეჭდური ვერსია, ელექტრონული კითხვარი, ფაქსი და ა.შ.).</p>
3.2	კლასიფიკაციის სისტემა	ენერგეტიკული ბალანსები შედგენილია ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 006-2016-ის (NACE Rev. 2) ბაზაზე.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		ენერგეტიკის სტატისტიკის პროდუქტების ნომენკლატურა მოცემულია ენერგეტიკის სტატისტიკის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს (Energy Statistics Manual, IEA/OECD/EUROSTAT, 2005) და საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად (IRES, UNSD, 2011).
3.3	სექტორის მოცვა	ენერგეტიკის სტატისტიკის კვლევის ობიექტია ენერგორესურსების მწარმოებლები, გამანაწილებლები, იმპორტიორი და ექსპორტიორი ორგანიზაციები და ენერჯის საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფები.
3.4	სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	<p>ენერჯის წარმოება – ენერჯის წარმოება ბუნებაში არსებული ენერგორესურსებიდან (ქვანახშირი, ტორფი, ბუნებრივი გაზი, ნედლი ნავთობი, ჰიდრო, ქარი, მზე). ენერჯია შეიძლება იყოს განახლებადი და არაგანახლებადი. განახლებად ენერჯიას მიეკუთვნება ჰიდროენერჯია, ქარის, მზის და გეოთერმული ენერჯია.</p> <p>იმპორტი – ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული პირველადი და გარდაქმნილი ენერჯია. ბუნებრივი გაზის ტრანზიტული მოცულობა იმპორტში არ აისახება.</p> <p>ექსპორტი – როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა ქვეყნის გარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი.</p> <p>გაანგარიშების ფორმულა თითოეული ენერგეტიკული პროდუქტისათვის: მარაგების ცვლილება – სხვაობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის. მარაგები პერიოდის ბოლოს განაგარიშება: მარაგი პერიოდის დასაწყისში+წარმოება+იმპორტი-ექსპორტი-საბოლოო მოხმარება. შიდა მიწოდება – წარმოება+იმპორტი-ექსპორტი+/-მარაგების ცვლილება. ხელმისაწვდომი – შიდა მიწოდება+პირველადი ენერჯის ტრანსფორმაციის/გადამუშავების შედეგად მიღებული ენერჯია. მაგალითად, ნედლი ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული ნავთობპროდუქტები. ტრანსფორმაციის სექტორი – შემავალი – ენერჯის პირველადი ფორმა. ტრანსფორმაციის სექტორი – წარმოება – პირველადი ენერჯის გარდაქმნის/გადამუშავების შედეგად მიღებული ენერჯია. ენერგეტიკის სექტორის საკუთარი მოხმარება – საწარმოში განათების, გათბობის, სატუმბო სადგურის მუშაობის მიზნით მოხმარებული ენერჯია. მაგალითად, ქვანახშირის მაღაროში, ელექტროსადგურებში, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვების პროცესში და ა.შ. დანაკარგები – დანაკარგები ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის გადაცემის და განაწილების სისტემებში, ასევე დანაკარგები ქვანახშირის მაღაროებში. საბოლოო მოხმარება – ენერჯის მოხმარება მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით. აგრეთვე მოიცავს არაენერგეტიკული მიზნებისთვის მოხმარებულ ენერჯიას.</p>
3.5	სტატისტიკური ერთეული	საწარმო, შინამეურნეობა, სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციები და სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულები.
3.6	სტატისტიკური პოპულაცია	მეწარმე/ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც წარმოადგენენ ენერგორესურსების მწარმოებლებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს და ენერჯის საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფებს.
3.7	საანგარიშო არეალი	საქართველოს მთელი ტერიტორია, გარდა ოკუპირებული რეგიონებისა.
3.8	დროის მოცვა	2013 წლიდან.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
3.9	საბაზო პერიოდი	-
4	ზომის ერთეული	ფიზიკური ერთეულები (ტონა, კუბ. მ, კვტ.სთ), საერთაშორისო ერთეულები (ტერაჯოული, ტონა ნავთობის ეკვივალენტი).
5	საანგარიშო პერიოდი	წელი.
6	ინსტიტუციური მანდატი	
6.1	სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები	საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ"; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://geostat.ge/media/20600/10%62Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2	მონაცემთა გაზიარება	-
7	კონფიდენციალურობა	
7.1	კონფიდენციალურობა – პოლიტიკა	<p>1. საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ":</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუმუშავებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა. • კანონის 29-ე მუხლის (საქსტატის ორგანოებში დასაქმებულთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა) თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. <p>https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</p> <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437
7.2	კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა	<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.
8	გამოქვეყნების პოლიტიკა	
8.1	გამოქვეყნების კალენდარი	მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2	გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა	https://www.geostat.ge/ka/calendar
8.3	მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
9	გავრცელების სიხშირე	წელი.
10	ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა	
10.1	პრეს-რელიზები	გამოკვლევის შედეგებს თან ერთვის პრეს-რელიზი: https://www.geostat.ge/ka/news
10.2	პუბლიკაციები	საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი: https://www.geostat.ge/index.php/ka/single-categories/118/sakartvelos-energetikuli-balansi
10.3	ონლაინ მონაცემთა ბაზა	-
10.4	მიკრომონაცემებზე ხელმისაწვდომობა	-
10.5	სხვა	-
10.6	დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე	ენერგეტიკის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.geostat.ge/media/13382/8.-Manual-of-energy-statistics-%28Eurostat%2C-OECD%2C-International-Energy-Agency%29.pdf
10.7	დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ	-
11	ხარისხის მართვა	
11.1	ხარისხის უზრუნველყოფა	სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2	ხარისხის შეფასება	საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო

ცნების დასახელება		წარმოდგენა
		პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
12	შესაბამისობა	
12.1	მომხმარებელთა მოთხოვნები	მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: სამინისტროების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები (ევროსტატი, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო, გაეროს სტატისტიკის განყოფილება), სახელმწიფო ორგანიზაციები, ექსპერტები, მედია საშუალებები, სტუდენტები და სხვა. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2	მომხმარებელთა კმაყოფილება	2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/single-news/1746/statistikuri-informatsiis-momkhmarebelta-kmaqofilebis-gamokvleva-2019-tseli
12.3	სისრულე	მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
13	სიზუსტე და სანდოობა	
13.1	ზოგადი სიზუსტე	დამუშავებული მონაცემების შედარება ხდება გასული პერიოდის შესაბამის მონაცემთან. რიგ შემთხვევებში, დამუშავების პროცესში და ენერგეტიკული ბალანსის ფორმირებისას ხდება მონაცემთა გადამოწმება როგორც ადმინისტრაციულ წყაროებში, ისე საწარმოს წარმომადგენლებთან.
13.2	შერჩევითი ცდომილება	-
13.3	არაშერჩევითი ცდომილება	არაშერჩევითი ცდომილების მინიმიზაციის მიზნით, ხდება მონაცემების შედარება ადმინისტრაციულ წყაროებთან.
14	დროულობა და პუნქტუალურობა	
14.1	დროულობა	მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის დეკემბრის შუა რიცხვებში.
14.2	პუნქტუალურობა	მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15	თანამიმდევრულობა და შესადარისობა	
15.1	შესადარისობა – გეოგრაფიული	საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო მეთოდოლოგიას.
15.2	შესადარისობა – დროში	დროითი მწკრივის მონაცემები ერთმანეთთან შესადარისია.
15.3	თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის	მონაცემები თანამიმდევრულია.
	თანამიმდევრულობა – შიდა	მონაცემები თანამიმდევრულია.
16	დანახარჯები და დატვირთვა	ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის ბიუჯეტი 31 500 ლარი.
17	მონაცემთა გადასინჯვა	
17.1	მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა	სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/20610/20.Revision-policy_Geostat_20-July_final.pdf

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
17.2	მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა	მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.
18	სტატისტიკური დამუშავება	
18.1	პირველადი მონაცემები	ენერგორესურსების წარმოების, მიწოდების და მოხმარების შესახებ გამოკვლევის შევსებული კითხვარები (ონლაინ კითხვარი).
18.2	მონაცემთა შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად.
18.3	მონაცემთა შეგროვება	უმეტეს შემთვევაში (დაახლოებით 90%) გამოიყენება ონლაინ კითხვარი. ენერგეტიკული ბალანსის შესადგენად გამოყენებულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეკლარაციის მონაცემები და სხვადასხვა ადმინისტრაციული წყარო. ცალკეულ შემთხვევებში ხორციელდება ექსპერტული შეფასება.
18.4	მონაცემთა კონტროლი	მონაცემთა პირველადი შემოწმება ტარდება პროგრამულად, მონაცემთა ბაზაში არსებული არითმეტიკული კონტროლის საფუძველზე. მეორადი კონტროლი ხორციელდება ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლების მიერ.
18.5	მონაცემთა გაანგარიშება	საწარმოთა შერჩევა ხორციელდება შემთხვევითი სტრატეგიცირებული შერჩევის საფუძველზე. მონაცემთა შეწონვა ხდება ყოველწლიურად. გამოკვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები მრავლდება მინიჭებულ წონებზე, საწარმოთა დონეზე და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი დაჯამება უკვე იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც ითვალისწინებს ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია.
18.6	მოსწორება	არ გამოიყენება.
19	კომენტარი	-